<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—თებერვალი 2017 წელი

ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მარცხენა სანაპიროს უსახელო მონაკვეთისთვის ლევილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, მარცხენა სანაპიროს უსახელო მონაკვეთს მიენიჭოს ლევილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 485,936.623
Y- 4,614,695.142
X- 485,612.370
Y- 4,614,709.931
X- 486,267.060
Y- 4,614,541.989
X- 486,429.819
Y- 4,614,313.758
X- 486,466.501
Y- 4,614,006.332
X- 486,569.379
Y- 4,613,939.632

02/785

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

№06/17232
27.09.16 წ

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
STATE MINISTER OF GEORGIA FOR DIASPORA ISSUES

923-01-10-2-201609261303

N 01-10/923

26/09/2016

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, 2016 წლის 23 სექტემბერს საფრანგეთის რესპუბლიკაში ხელი მოეწერა ლევილის შატოსა და მამულის საქართველოსათვის გადმოცემის საბოლოო აქტს, რითაც დასრულდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრების "მორალური ანდერძის" აღსრულება, რომლის თანახმადაც, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო სახსრებით შეძენილი ლევილის მამული და ქონება მის კანონიერ მესაკუთრეს - ქართველ ერს უნდა დაბრუნებოდა.

გადმოცემის აქტს საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელი მოაწერა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, ხოლო ფრანგული მხარიდან აქტზე ხელმომწერნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ.

ამ მოვლენის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ლევილის სახელის მინიჭებას ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის.

მოგმართავთ რა შუამდგომლობით აღნიშნულის შესახებ, გთხოვთ, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას შესთავაზოთ, დაჩქარებული წესით განიხილოს წარმოდგენილი ინიციატივა.

პატივისცემით,

გელა დუმბაძე

სახელმწიფო მინისტრი

06/17232
"27" სექტემბერი 2016

საქართველო, თბილისი 0105, ლეონიძის ქ. №3
www.diaspora.gov.ge
ტელ/Tel:. + 995 32 236 87 51
info@diaspora.gov.ge
3, Leonidze Street 0105 Tbilisi, Georgia
facebook.com/GeoDiaspora

ლევილი

პარიზიდან დაახლოებით 30 კილომეტრში, სენას დეპარტამენტში მდებარეობს პატარა სოფელი ლევილ-სიურ-ორჟი ანუ ლევილი. იგი სხვა ახლომდებარე სოფლებისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ ჩვენთვის ქართველებისთვის ის მეტად ძვირფასია, ვინაიდან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები სწორედ ამ სოფლის სახელთანაა დაკავშირებული. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. 1921 წლის 19 მარტს საქართველოს კანონიერი მთავრობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და ბათუმიდან საფრანგეთში გაემგზავრა ემიგრაციაში.

1921 წლებში და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები საიმედოს არაფერს იძლეოდა, ამიტომ საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ ლევილში პატარა მამული შეიძინა და იქ დასახლდა. წლები გადიოდა ,სასიკეთო ცვლილებებს პირი არ უჩანდა. მიუხედავად იმისა,რომ გულის სიღრმეში სამშობლოში დაბრუნებაზე ყველა ოცნებობდა მათ იქვე ახლოს სოფლის ბოლოში არსებული სასაფლაოს ნაწილიც შეისყიდეს. 1922-1944 წლებში. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ექვთიმე თაყაიშვილი. იქვე ინახებოდა საქართველოდან 1921 წელს გატანილი განძეულობის ერთი ნაწილი, ასევე ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან. გატანილი ძვირფასი სურათები ,რომლებიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

დამოუკიდებელ საქართველოს.2016 წლის 23 სექტემბერს ლევილი შატო და მამული ოფიციალურად გადმოეცა საქართველოს.